



ტრაპიზონის იმპერიის დაარსება

ზურაბ ბატიაშვილი

საქართველო არასოდეს ყოფილა ჩაკეტილი ქვეყანა – იგი ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც განსაკუთრებით გამოჩნდა ჩვენი ქვეყნის ძლიერების პერიოდში.

იღის დაბადება

„ოქროს ხანა“ საქართველოში XI საუკუნის ბოლოდან დაიწყო, როდესაც დავით აღმაშენებელმა წარმატებით მოიგერია თურქ-სელჩუკების შემოსევები და დაასრულა საქართველოს გაერთიანების პროცესი. დავითი აქტიურად იღვწოდა საქართველოს საზღვრების გაფართოებისა და საერთაშორისო არენაზე გავლენის გასაზრდელად. არსებობს ცნობები, რომ მან ამ მიზნით ტრაპიზონის მხარეშიც ილაშქრა, თუმცა, უშედეგოდ. დავით აღმაშენებლის შემდეგ მის მიერ შექმნილმა ძლიერმა სახელმწიფო მანქანამ მთელი ძალით განაგრძო მუშაობა.

იმ პერიოდის საქართველოს სამეფო კარი მუდამ ყურადღებით აკვირდებოდა ანატოლიაში, სამხრეთ შავიზღვისპირეთსა და, განსაკუთრებით, ტრაპიზონის მხარეში მიმდინარე პროცესებს. მით უმეტეს, რომ იქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ მონათესავე ჭან-ლაზები და ხალხები, რომლებიც არ ეგუებოდნენ ბიზანტიურ მმართველობას.

XI საუკუნის II ნახევრიდან მძიმე დროება დაუდგა მანამდე ძლევამოსილ ბიზანტიის იმპერიას, რომელსაც სულ უფრო უჭირდა თურქ-სელჩუკების შემოსევების შეკავება. სიტუაციის შემობრუნებას შეეცადა კომნენოსების დინასტია, რომელიც ბიზანტიას 1081-1185 წლებში მართავდა. კომნენოსთა წარმა-



ხალღები – ძველი დასავლურ-ქართული ტომი. „ხალღის“ შესატყვისად ბერძენ ავტორებს მოხსენიებული აქვთ „ხალიბი“. ეს ხალხი ცხოვრობდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. აქ მდებარეობდა პროვინცია „ხალღია“.

ტეზა დროებითი იყო. ქვეყანაში დაწყებული არეულობების ფონზე ამ დინასტიის ბოლო იმპერატორი ანდრონიკე I და მისი ვაჟი მანუელი 1185 წლის შემოდგომაზე კონსტანტინოპოლში წამებით დახოცეს, ხოლო მანუელის მცირეწლოვანი შვილები, ალექსი და დავითი, მონათესავე ბაგრატიონებთან გააპარეს და ასე გადაარჩინეს გარდაუვალ დაღუპვას. კომნენოსები საქართველოს სამეფო კარზე ქართული ადათ-წესებითა და ტრადიციით გაიზარდნენ, განათლებაც ქართულად მიიღეს.

არსებულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველთა პროგრამა მაქსიმუმი იყო ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე მოკავშირე და მონათესავე კომნენოსთა დინასტიის აღდგენა და საერთაშორისო არენაზე საერთო პოზიციით წარდგენა. ამ მოსაზრებას ამყარებს როგორც ძმების მიერ „დიდი კომნენოსის“ გვარის მიღება, ისე ქართული სამხედრო ნაწილების გადაადგილების მიმართულება.

შამქორისა (1195) და ბასიანის (1203) ბრძოლებში გამარჯვების შემდეგ საქართველოს ხელფეხი გაეხსნა სამეზობლოში მიმდინარე პროცესებში აქტიურად ჩასართავად. საქართველოს გაუჩნდა რეგიონში პირველობის საფუძვლიანი ამბიციისა და საქართველოს სამეფო კარმა მალევე მიიღო გადაწყვეტილება, რომ შავიზღვისპირეთის მიმართულებით სამხედრო-პოლიტიკური ოპერაცია დაეწყო.

პროგრამა მინიმუმი კი, ალბათ, უნდა ყოფილიყო ისეთი ბუფერული ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც საქართველოს გავლენის ქვეშ იქნებოდა და რომელსაც სამხრეთიდან და დასავლეთიდან წამოსული საფრთხის მოგერიება მოუწევდა. საერთაშორისო არენაზე შექმნილი მძიმე სიტუაციის ფონზე კი ასეთი საფრთხე საკმაოდ რეალური იყო.

1204 წლის სამხედრო ოპერაცია

თამარ მეფემ საბაბად გამოიყენა ბიზანტიის მაშინდელი იმპერატორის – ალექსი III ანგელოსის მიერ ბიზანტიაში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირების გაძარცვა და საპასუხოდ, 1204 წელს ბიზანტიისაკენ ლაშქრობა მოაწყო. დასავლეთ საქართველოდან დაძრულმა ჯარმა, რომელსაც თან ახლდნენ ძმები კომნენოსები, დიდი ტერიტორიები დაიკავა. ბიზანტიამ ქართველთა წინსვლას ხელი ვერ შეუშალა, რადგან სწორედ იმ დროს იმპერიას დასავლეთიდან ლათინები (ჯვაროსნები) უტევდნენ და აღმოსავლეთის საქმეებისთვის მას არ ეცალა.

დიდია იმის ალბათობა, რომ XIII საუკუნის დასაწყისში ქართველთა მიერ შავიზღვისპირეთში წარმოებულ გაბედულ სამხედრო-პოლიტიკურ ქმედებებს თავისი „პროგრამა მინიმუმი“ და „პროგრამა მაქსიმუმი“ ჰქონდა.

ქართული ჯარი ორ ნაწილად გაიყო – ერთი ნაწილი შავი ზღვის სანაპიროს გაუყვა, მეორე ნაწილი კი გემებზე ავიდა და ზღვიდან ამაგრებდა ხმელეთზე მოძრავ ლაშქარს.



ანდრონიკაშვილების საგვარეულო გერბი

ანდრონიკა კომნენოსი იყო დავით აღმაშენებლის ქალიშვილის, კატაძის, ვაჟი. იგი 1170 წელს საქართველოს სამეფო კარსაც ესტუმრა, სადაც დიდი ქონება უბოძეს და ქიზიყშიც დაასახლეს. ანდრონიკე იყო ტრაპიზონში გამეფებული კომნენოსების პაპა. გადმოცემით, მისი შთამომავლები არიან თავადი ანდრონიკაშვილები, რომელთა გვარიც მისი სახელიდან მომდინარეობს. ანდრონიკაშვილები რომ საკუთარ თავს ბიზანტიის იმპერატორთა შთამომავლებად მიიჩნევენ, მათი საგვარეულო გერბიდანაც კარგად ჩანს, რომელზეც ბიზანტიის იმპერიის სიმბოლო – ორთავიანი არწივია გამოსახული.

ისტორია

საქართველოს ჯარმა ლაზიის ადების შემდეგ, 1204 წლის აპრილში, ქალაქი ტრაპიზონი დაიკავა. ბიზანტიიდან დანიშნულმა მმართველმა, ნიკიფორემ, კარგად იცოდა, რომ კონსტანტინოპოლიდან დახმარებას ვერ მიიღებდა. ამიტომ ციხე-სიმაგრის გასაღები გამოიტანა და ქალაქი უბრძოლველად ჩააბარა ქართველებს.

ქართული ჯარი ძალიან სწრაფად მიიწვედა წინ – ლაზიისა და ტრაპიზონის შემდეგ დაიკავა კერასუნტი (დღევანდელი გირესუნი), კოტიორა (დღევანდელი ორდუ), სამსუნი, სინოპი, პაფლაგონიის რეგიონი (მათ შორის, კომნენოსების საგვარეულო ციხესიმაგრე კასტამონუ) და ჰერაკლეა პონტიკა (შავი ზღვის ჰერაკლეა). 1205 წლის შემოდგომაზე ქართული რაზმები შავიზღვისპირეთსაც გასცდნენ და ისტორიულ ბითინიაში, მარმარილოს ზღვის სანაპიროზე მდებარე ქ. ნიკომედიასთან (დღევანდელი ქ. იზმიტი/ქოჯაელი), გამოჩნდნენ. ეს ქალაქი კონსტანტინოპოლიდან სულ რაღაც 110 კმ.-ით იყო დაშორებული. ახლად დაკავებული ტერიტორიების აღმოსავლეთ ნაწილს ალექსი კომნენოსი, დასავლეთ ნაწილს კი მისი ძმა, დავითი, განაგებდა.

ნიკომედიასთან მისულ ქართულ ჯარს ზურგიდან მოულოდნელად ბიზანტიელები დაესხნენ, რომლებიც ნიკეაში იყვნენ გამაგრებული მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს. შედეგად, დავითმა უკან დაიხია და გამაგრდა ჰერაკლეასა და ამასტრიდში. იგი იძულებული გახდა უკიდურეს დასავლეთ საზღვრად მდ. სანგარისი (დღევანდელი მდ. საქარია) დაედგინა.

კომნენოსების ხელისუფლებას ასევე დაექვემდებარა ყირიმში არსებული ძველი ბიზანტიური ტერიტორიები – ხერსონი, ქერჩი და შიდა არეალი, რომელიც პერატეიას (ზღვისიქითა მიწები) სახელით იყო ცნობილი.

საერთო ჯამში, ქართული ჯარი წელიწადზე ცოტა მეტ ხანს მოუწდა შავი ზღვის თითქმის მთელი სამხრეთ სანაპიროს დაკავებას – 1300 კილომეტრიანი საზღვაო ზოლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების – ისტორიული ქანეთის, პონტოს, პაფლაგონიისა და ბითინიისა. ეს კი თითქმის სრულად ემთხვევა დღევანდელი თურქეთის შავი ზღვისპირეთის რეგიონის საზღვრებს, რომლის ტერიტორია მოიცავს 143,5 ათას კვ. კილომეტრს. შედარებისთვის, დღევანდელი საქართველოს ფართობი 69,7 ათასი კვადრატული კმ.-ია, ანუ 1204-1205 წწ.-ის სამხედრო ოპერაციის შედეგად, ქართულმა ჯარმა დაიკავა დღევანდელ საქართველოზე ორჯერ უფრო დიდი ტერიტორია. ეს იყო საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე კარგად დაგეგმილი და შესრულებული სამხედრო ოპერაცია.

შამქორისა (1195) და ბასიანის (1203) ბრძოლები – საქართველოს სამეფო კარის მიერ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე გადახდილი ორი დიდი ბრძოლა მეზობლების (ირანის აზერბაიჯანის საათაბაგო და რუმის სასულთნო) წინააღმდეგ, რამაც ქვეყანას ამოსუნთქვისა და მშვიდობიანი განვითარების საშუალება მისცა.

შამქორსა და ბასიანში გამარჯვების შემდეგ საქართველო მეზობელ ქვეყნებს შორის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა, საერთაშორისო არენაზე მკვეთრად გაიზარდა საქართველოს სახელმწიფოს პრესტიჟი და იგი ანგარიშგასაწევი ძალა გახდა მთელ რეგიონში.

თამარ მეფის ფრესკა ვარკიიდან, XII საუკუნე



იმპერატორ ანდრონიკი I კომნენოსის მკვლელობა კონსტანტინოპოლში

კომნენოსების დინასტია – ბიზანტიის იმპერატორთა დინასტია X-XI საუკუნეებში. ისინი მცირეაზიური წარმოშობისა იყვნენ. კომნენოსების მმართველობისას იმპერიაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა და გაფორმდა ფეოდალური ინსტიტუტები, გატარდა რეფორმები ადმინისტრაციულ და სამხედრო სფეროებში, ეკლესია იმპერატორის ხელისუფლებას დაემორჩილა. აქტიური საგარეო პოლიტიკის წყალობით კომნენოსებმა შეაჩერეს სელჩუკთა ექსპანსია და დაიბრუნეს მცირე აზიის პროვინციების ნაწილი, ასევე დროებით დაიმორჩილეს სერბეთი და უნგრეთი. პარალელურად, ისინი ლათინებს დაუახლოვდნენ. თუმცა ამას ბიზანტიაში დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა, რაც, საბოლოო ჯამში, კომნენოსების ტახტიდან ჩამოშორებით დასრულდა.



სამხედრო-პოლიტიკური შედეგები

ნიკეაში გამაგრებულმა ბიზანტიელებმა კომნენოსების წინააღმდეგ საბრძოლველად სელჩუკებთან შექმნეს კოალიცია. ქართველებმა კი, მათგან თავდაცვის მიზნით, 1206 წლისთვის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეკრეს კონსტანტინოპოლში გამაგრებულ ჯვაროსნებთან. ქართველებს ჩვენი ისტორიის მანძილზე ხშირად გვქონია სამოკავშირეო ურთიერთობა დასავლეთთან 1206 წლამდეც (გავიხსენოთ თუნდაც „ფრანგების“ მონაწილეობა დიდგორის ომში) და 1206 წლის შემდეგაც, მაგრამ ეს პირველი და ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ფიზიკურადაც დავუმეზობლდით დასავლურ სამყაროს. საქართველომ, ტრაპიზონის იმპერიის დაარსებით, მნიშვნელოვანი ფანჯარა გაჭრა ევროპაში, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში წარმატებით ასრულებდა თავის ფუნქციას – იყო ბუნებრივი ბუფერის ზონა სელჩუკებთან და ამასთან – ევროპასთან დამაკავშირებელი ხიდიც.

ჯვაროსნებთან დადებული ხელშეკრულება მალევე ამოქმედდა – ქართველები და ლათინები ერთად შეებრძოლნენ ბიზანტიურ-სელჩუკურ ალიანსს. მაგრამ 1212 წლის 13 დეკემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა ახლად დაკავებული ტერიტორიების დასავლეთ ნაწილის ახალგაზრდა მმართველი დავით კომნენოსი და ნიკეაში გამაგრებულმა ბიზანტიელებმა, სელჩუკებთან წინასწარი შეთანხმებით, ახალი შემართებით შეუტიეს ქართველთა პოზიციებს.

მიუხედავად ალექსი კომნენოსის სახელმწიფოებრივი და სამხედრო ნიჭისა, ერთი ადამიანი-სათვის მეტად ძნელი აღმოჩნდა დიდ ტერიტორიაზე გადაჭიმული სამფლობელოს წარმატებით მართვა და დაცვა.

1214 წლის შემოდგომაზე სელჩუკები მოულოდნელად დაესხნენ თავს სინოპის სიახლოვეს სანადიროდ გასულ ალექსის და დაატყვევეს. მისი გათავისუფლების სანაცვლოდ კი, მოგვიანებით, სინოპის ციხე-სიმაგრე მიიღეს. სელჩუკები განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ ალექსის მოკავშირე 30 ლათინს – ისინი ცოცხლად გაატყვევეს. როგორც ჩანს, მათ ძალიან აღიზიანებდათ ლათინურ-ტრაპიზონული (ქართული) ალიანსი. სელჩუკების სინოპზე თავდასხმის პარალელურად ბიზანტიელებმა შეუტიეს და აიღეს უფრო დასავლეთით მდებარე ჰერაკლეა და ამასტრიდი.

ალექსი და დავით კომნენოსების გაჭდეპი



ამგვარად, სელჩუკებმა და ნიკეელებმა გადაინაწილეს ტრაპიზონის იმპერიის დასავლეთი ნაწილი, რაც, საერთო ჯამში, ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით ნახევარი იყო. ნიკეელებმა კომნენოსების სახით მოიშორეს ძლიერი კონკურენტები, რომლებიც პაფლაგონისა და ბითინიის ნაწილის ფლობით, ერთი მხრივ, მუდმივ შიშში ამყოფებდნენ ნიკეას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელსაყრელ მომენტში კონსტანტინოპოლისკენ გაჭრის საშიშროებას ქმნიდნენ.

სახელმწიფოს შენება

წარმატებით განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ, პირველ რიგში, საჭირო გახდებოდა დაკავებული ტერიტორიების სახელმწიფოებრივი მონყობის საკითხის გადაწყვეტა. ამ ტერიტორიების დიდი ნაწილი არასოდეს შედიოდა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში. შესაბამისად, გაძნელებოდა მიწების პირდაპირი მიერთების ლეგიტიმაცია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ იმდროინდელი კომუნიკაციების პირობებში მეტად ძნელი იქნებოდა ახლად დაკავებული ტერიტორიების დასავლეთ ნაწილის თბილისიდან მართვა. თანაც, იმ პერიოდში, ნებისმიერ დროს, მოსალოდნელი იყო ახლო მყოფი სელჩუკების შემოსევა და მათთან გასამკლავებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა დროული გადაწყვეტილებების ადგილზე მიღება.

სამხედრო ოპერაციის შედეგად დაკავებულ ტერიტორიაზე შეიქმნა ახალი სახელმწიფო. ამ ქმედებაში ერთმანეთს დაემთხვა საქართველოსა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, რომლებიც არასოდეს ეგუებოდნენ ამ რეგიონში ბიზანტიურ მმართველობას და თან მოძლიერებული სელჩუკებისგანაც სურდათ საკუთარი თავის დაცვა.

ტერიტორიულ დანაკარგებს ერთი დადებითი შედეგი ჰქონდა ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის – ტრაპიზონის იმპერია უშუალოდ აღარ ემეზობლებოდა მოქიშპე ნიკეას, თანაც გეოგრაფიულად შედარებით იზოლირებულ და, შესაბამისად, უფრო უსაფრთხო სივრცეში მოექცა. სამხრეთით მას ბუნებრივად იცავდა მაღალი მთების სისტემები, ჩრდილოეთით – შავი ზღვა, აღმოსავლეთით – მოკავშირე საქართველო, ხო-




სელჩუკთა მიერ ლათინი ტყვეების დასჯა

ლო დასავლეთით თუ ადრე იმპერიის საზღვარი მდ. სანგარისზე გადიოდა, ახლა მან აღმოსავლეთით, შედარებით ადვილად დასაცავ მდ. ირისსა (დღევანდელი მდ. იეშილ-ირმაქი) და მდ. თერმოდონზე (დღევანდელი მდ. თერმე) გადმოინაცვლა, რაც ტრაპიზონიდან დაახლოებით 300 კმ.-ითაა დაშორებული.

იმპერიის შექმნის პირველ წლებში საჭირო იქნებოდა დიდი ენერჯის დახარჯვა სახელმწიფო ტერიტორიული მონყობის, სამთავრობო სტრუქტურების, ცენტრალური ადმინისტრაციის, სავაჭრო, საბაჟო და საგადასახადო სისტემების, ასევე ეკლესიის მოსაწყობად. ამავე დროს, კომუნენოსებსა და ქართველებს დასჭირდებოდათ როგორც ადგილობრივი ჯარის, ისე ფლოტის ჩამოყალიბებაც.



სინოპის ციხე



ის, რომ ახალი სახელმწიფოს დედაქალაქად ტრაპიზონი გამოცხადდა, სულაც არ იყო შემთხვევითი: ეს ქალაქი მთავარ მოკავშირესა და მფარველთან, საქართველოსთან, ტერიტორიულად ახლოს მდებარეობდა, საიდანაც ნებისმიერ დროს იყო შესაძლებელი სამხედრო და სხვა სახის დახმარების მიღება. ამასთან, ტრაპიზონი საკმაოდ მოშორებული იყო დასავლეთ ანატოლიას, სადაც იმ დროისთვის ყველაზე არასტაბილური და არსებობისათვის მეტად სახიფათო გარემო შეიქმნა.

ამავე დროს, ტრაპიზონი ძალიან ძველი ქალაქი იყო (დაარსდა ძვ.წ. 756 წ., შედარებისთვის, რომი დაარსდა ძვ.წ. 753 წ.) და იგი შავიზღვისპირეთის ყველაზე უკეთ გამაგრებულ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, რომლის აღებაც ძალზე გაუჭირდებოდა ნებისმიერ მტერს. კომნენოსებმა გაამაგრეს ქალაქის კედლები და ააგეს ულამაზესი სასახლე, ეკლესიები და შენობა-ნაგებობები ახლადჩამოყალიბებული სხვადასხვა ინსტიტუტისათვის. ქალაქის კედლების სიდიადე დღესაც შთამბეჭდავია. აღსანიშნავია, რომ ამ კედ-

ლებმა შემდგომში მრავალჯერ გადაარჩინა კომნენოსები და იმპერია განადგურებას. ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ იმპერიის არსებობის მანძილზე მონინალმდებეგმ ვერასოდეს მოახერხა ციხე-სიმაგრის ბრძოლით აღება.

ახალ სახელმწიფოში ერთ-ერთი უპირველესი ღონისძიება იქნებოდა ალექსის იმპერატორად კურთხევა, რომელიც ისტორიაში შევიდა ალექსი I დიდი კომნენოსის სახელით. ეს ცერემონია ტრაპიზონში უნდა ჩატარებულიყო. ამ რიტუალისთვის კი ყველაზე მოსახერხებელი ქალაქის ცენტრში მდებარე ღვთისმშობლის („პანაგია ხრისოკეფალოსის“) ტაძარი უნდა ყოფილიყო, სადაც, ტრადიციულად, მომდევნო საუკუნეებშიც აკურთხებდნენ იმპერატორებად ტრაპიზონელ კომნენოსებს.



ტრაპიზონის სიახლოვეს მდებარე ლაზია კი ქართულ-ტრაპიზონული კონდომინიუმი (საერთო დაქვემდებარება) იყო. ამის გამო ლაზები იბრძოდნენ როგორც საქართველოს, ისე ტრაპიზონის იმპერიის ჯარში, რაც ამ ორი ქვეყნის ახლო მოკავშირეობის კიდევ ერთი მაგალითია.



III-IV საუკუნეებში ძვ. რომაულ სამლოცველოზე აგებული ამ ტაძრის გუმბათი, გადმოცემის თანახმად, მთლიანად ოქროსი იყო და აქედან მომდინარეობს სახელი „ხრისოკეფალოს“, რაც „ოქროსთავას“ ნიშნავს. აქვე იყო კომნენოსთა ისტორიული საძვალე.

დიდ კომნენოსთა ტიტული და სიმბო- ლიკა

მაშინდელ პოსტბიზანტიურ სივრცეში, რეალური ძალაუფლებისთვის ბრძოლის პარალელურად, არანაკლები დაძაბულობით მიმდინარეობდა ქიშპობა საიმპერატორო სიმბოლოებისა და ავტორიტეტისთვის, რადგან ბიზანტია თავისი არსებობის მანძილზე ხშირ შემთხვევაში ძალიან წარმატებულად იყენებდა ხოლმე ე.წ. „რბილ ძალას“.

ცნობილია, რომ კომნენოსებმა 1212 წლამდე საკუთარ გვარს წინ დაუმატეს ეპითეტი „მეგას“ („დიდი“), რითაც კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი თავიანთ იმპერატორულ წარმომავლობას.


შეიცვალა კომნენოსთა ტიტულიც. ტრაპიზონის იმპერიის დაარსებისას მათი ტიტული იყო „რომაელთა იმპერატორი და თვითმპყრობელი“, რითაც გაცხადებული იყო მათი ბიზანტიური საიმპერატორო პრეტენზიები.

კომნენოსები ამ წოდებას ათწლეულების მანძილზე ატარებდნენ და მხოლოდ მას შემდეგ ამოიღეს ტიტულატურიდან, რაც საბოლოოდ

თქვეს უარი კონსტანტინოპოლში ძალაუფლების აღებაზე. ეს მოხდა XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც ტრაპიზონის იმპერიამ უფრო ლოკალური სახე მიიღო. ამ პერიოდიდან მათ ეწოდებოდათ „იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად აღმოსავლეთისა, იბერიელთა და ზღვისიქითა მიწებისა“. თუმცა, ბიზანტიელები ამ ტიტულსაც არ აღიარებდნენ. ტიტულს რომ თავი დავანებოთ, შესაბამისი ტანისამოსის ტარებაზეც კი ღიზიანდებოდნენ. მაგალითად, ცნობილია, რომ როდესაც ტრაპიზონის იმპერატორი იოანე II 1282 წელს კონსტანტინოპოლს ეწვია, მას, ფაქტობრივად, ძალით გახადეს წითელი წაღები და შავები ჩააცვეს, რადგან, ტრადიციულად, წითელი წაღების ტარება მხოლოდ იმპერატორის პრეროგატივა იყო და ბიზანტიელების აზრით, დედამიწაზე არ შეიძლება ერთზე მეტი იმპერატორი ყოფილიყო.

კომნენოსთა ტიტულში „აღმოსავლეთი“ მოიცავდა ყველა იმ ტერიტორიას, რომელსაც ისინი ფლობდნენ ან რომელზეც შეიძლება ჰქონოდათ პრეტენზია აღმოსავლეთში, ხოლო „ზღვისიქითა მიწებში“ იგულისხმებოდა ყირიმში მდებარე ტრაპიზონული სამფლობელოები.

სუპელას მონასტერი



ბიზანტიელები საკუთარ თავს „რომაელებს“ უწოდებდნენ. ტერმინი „ბიზანტია“ მოგვიანებით გაჩნდა და დამკვიდრდა ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში იმ მიზნით, რომ ერთმანეთისგან განესხვავებინათ დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიები. ძველ ქართულ ტექსტებშიც „ბიზანტია“ მოხსენიებულია როგორც „ჰრომი“, ხოლო „ბიზანტიელები“ – „ჰრომაელნი“.

ახალ ტიტულში ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ კომნენოსები „იბერიელთა (ანუ ქართველთა) იმპერატორებად“ მოიხსენიებიან, რაც იქ მრავალრიცხოვანი ქართველური (ჭან-ლაზები და ხალიბები) მოსახლეობის არსებობამ განაპირობა.

კომნენოსები სიმბოლოებისთვისაც იბრძოდნენ და ამ ბრძოლის შედეგია, რომ XIII საუკუნეში მათ კონსტანტინოპოლის აია-სოფიის საპირწონედ ააგეს ტრაპიზონის ულამაზესი აია-სოფია, XIV საუკუნეში კი განაახლეს მთებში ნაკვეთი სუმელას მონასტერი. ამ და კომნენოსების მიერ აგებულ სხვა ტაძრებზე ცხადად იგრძნობა ქართული არქიტექტურის გავლენა. მათ დღესაც განცვიფრებაში მოჰყავთ მნახველები.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ 1204 წლის ლაშქრობა და ახალი სახელმწიფოს დაარსება „ოქროს ხანის“ საქართველოს ძლიერებაზე მეტყველებს – იმ დროს ქართველებს, სამხედრო ძალასთან ერთად, ძლიერი პოლიტიკური ნებაც ჰქონდათ.

მთელი XIII საუკუნის განმავლობაში არასოდეს დამდგარა ტრაპიზონის იმპერიის ორიენტაციის საკითხი – იგი, ფაქტობრივად, საქართვე-

ლოს პროტექტორატი იყო. მხოლოდ კონსტანტინოპოლიდან ჯვაროსნების გაძევების, ბიზანტიის შედარებითი მოძლიერებისა და, ამის პარალელურად, საქართველოს დაშლა-დასუსტების შემდეგ, XIV საუკუნეში, დაიწყო ბრძოლა პროქართულ და პრობიზანტიურ დასებს შორის. ქართული სამთავროები (დასავლეთი საქართველო, სამცხე-საათაბაგო) დამოუკიდებლადაც კი შებრძოლებიან ტრაპიზონში ბიზანტიურ გავლენას.

საქართველოს ინიციატივით ჩამოყალიბებული იმპერიის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია იყო ბუნებრივი ხიდის როლის შესრულება საქართველოსა და დასავლეთს შორის, ასევე, ბუფერისა – კავკასიასა და ანატოლიას შორის. იგი ხშირად იყო ერთადერთი რეალური დამაკავშირებელი გზა საქართველოსა და ევროპას შორის. ამასთან, ფაქტობრივად, მისმა არსებობამ სრულად გააუვნებელყო ბიზანტიისა და სელჩუკებისგან საქართველოსკენ მომდინარე საფრთხე.

ტრაპიზონის იმპერიამ, ბიზანტიასთან შედარებით, უფრო დიდხანს გაუნია წინააღმდეგობა ოსმალეთის იმპერიასაც. ბიზანტიამ 1453 წელს შეწყვიტა არსებობა, ტრაპიზონის იმპერიამ კი 1461 წლამდე (სულ 257 წელი) იარსება.

ტრაპიზონის აია-სოფია



ტრაპიზონის იმპერიაში შემავალმა, მიუვალ მთებში მდებარე ქალაქის თემმა ტრაპიზონის აღების შემდეგ კიდევ 18 წელი შეძლო გაეწია წინააღმდეგობა. მისი აღება ოსმალებმა დიდი ძალისხმევით შეძლეს 1479 წელს. ქალაქი იმ პერიოდის ოსმალურ წყაროებში „გურჯისტანად“ („საქართველო“), ხოლო მისი მოსახლეობა „გურჯებად“ („ქართველებად“) მოიხსენიებოდა.